RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

„საზღვარგარეთ რუსეთის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფცია“ და საფრთხეები საქართველოსთვის

მედეა ივანიაძე

191

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მედეა ივანიაძე

„საზღვარგარეთ რუსეთის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფცია“ და საფრთხეები საქართველოსთვის

191

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-5140-7

2022 წლის 5 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა „საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფცია“ დაამტკიცა (“Указ Президента Российской Федерации от 05.09.2022 № 611” 2022). რუსეთი ამ პროპაგანდისტული დოკუმენტით თავის მრავალწლიან იმპერიალისტურ ამბიციებს ხელახლა უსვამს ხაზს, თუმცა ნიშანდობლივია, რომ პუტინმა ამ საკითხის წინ წამოწევა მაშინ ისურვა, როდესაც უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში რუსეთი წარმატებას ვერ აღწევს, არაერთი ქვეყანა პუტინის ხელისუფლებას უკრაინელი ხალხის გენოციდში ადანაშაულებს და გლობალური მასშტაბით რუსეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება (Sytas, Jones, and Kasolowsky 2022) (“Pew Research Center” 2022).

ვიდრე განვიხილავთ, თუ რატომ შეიძლება სჭირდებოდეს რუსეთს ამ-გვარი ოფიციალური დოკუმენტის მიღება, რა არის მასში მნიშვნელოვანი, რა მიზნებს ისახავს და რა საფრთხეებს შეიცავს კონკრეტულად საქართველოსთვის, აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია, მთლიანობაში, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის იმიჯის გამოსწორების მცდელობას ჰგავს. დოკუმენტში, ერთი მხრივ, ნათლადაა გამოხატული რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები, რაც, მაგალი-თად, საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტის უარყოფის ხელახლა ხაზგასმაში გამოიხატება, მეორე მხრივ კი, ყურადღება გამახვილებულია რუსეთის კულტურის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება გავლენის ერთ-ერთ ინსტრუმენტად. ყოველივე ეს რუსეთის იმპერიალისტური აზროვნების ნაწილია, ვინაიდან მრავალი წელია რუსეთი თავის სახელმწიფო იდეოლოგიას იყენებს ხაფანგად და თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების დომინაციის იარაღად, მათი რუსეთთან იძულებითი დაახლოებისა და დამსგავსებისთვის.

კონცეფციის შესახებ

„საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონ-ცეფცია“, როგორც დოკუმენტში არის აღნიშნული, რუსეთის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. კონცეფცია „ავსებს და ავითარებს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დებულებებს საერთაშორისო კულ-ტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის სფეროში, ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების ძირითად დებულებებს, რომლებიც გავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე“. 31-გვერდიანი დოკუმენტი 117 მუხლსა და 6 თავს მოიცავს, რომელთა ნაწილიც რამდენიმე ქვეთავადაა გამოყოფილი. დოკუმენტის დასასრულს კი განმარტებულია, რომ კონცეფცია არის საფუძველი რუსეთის სახელმწიფო და სხვა პროგრამების განვითარებისთვის, რომლებიც მიზნად ისა-ხავენ რუსეთის „საერთაშორისო ავტორიტეტის გაძლიერებას“, საზღვარგარეთ რუსეთზე „ობიექტური აღქმის ჩამოყალიბებასა და მისი გრძელვადიანი ინტერესების უზრუნველყოფას“.

წინამდებარე სტატიაში განიხილება ზემოხსენებული კონცეფციის შედარებით მნიშვნელოვანი ნაწილები და ის პოტენციური საფრთხეები საქართველოსთვის, რომლებსაც ეს დოკუმენტი, სავარაუდოდ, შეიცავს.

რუსულენოვანი მოსახლეობის და „თანამემამულეების“ უფლებების დაცვა

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა კონცეფციის „ორმხრივი ჰუმანიტარული თანამშრომლობის“ ნაწილი, სადაც წერია, რომ საქართველოსთან ისევე, როგორც ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიეტუვასა და მოლდოვასთან „ჰუმანიტარული და კულტურული კავშირების განვითარებისას“ გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხები. ასევე, „საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერის“ ნაწილში აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში, მათი ინტერესების დაცვისა და სრულიად რუსული კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში“.

რუსეთის პრეზიდენტს სხვა ქვეყანაზე თავდასხმის მიზეზად არაერთხელ მოუხმია რუსულენოვანი მოსახლეობისა თუ „თანამემამულეების“ დაცვა. 2016 წელს პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი „იძულებული იყო“ დაეცვა რუსულენოვანი მოსახლეობა დონბასში (“The Interpreter” 2016). 2014 წელს პუტინმა ასეთი რამეც თქვა: „უკრაინაში, როგორც ნახეთ, საფრთხის ქვეშ იყვნენ ჩვენი თანამემამულეები, რუსი ხალხი და სხვა ეროვნების ხალხი, მათი ენა, ისტორია, კულტურა და სამართლებრივი უფლებები... როდესაც ვსაუბრობ რუსებზე და რუსულენოვან მოქალაქეებზე, ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც თავს მიიჩნევენ რუსეთის ფართო საზოგადოების ნაწილად, ისინი შეიძლება სულაც არ იყვნენ ეთნიკური რუსები, მაგრამ ისინი თავს რუს ხალხად თვლიან“ (“Conference of Russian ambassadors and permanent representatives” 2014).

რუსეთის მიერ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ „თანამემამულეთა“ უფლებების მხარდაჭერისა და რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საკითხის ხელახლა წინ წამოწევა, უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომისა და მასში რუსეთის წარუმატებლობის პარალელურად, ნამდვილად საყურადღებოა. მართალია, რუსეთს აქვს პრეტენზია, რომ ნატოს წევრი ქვეყნები, ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია, მისი გავლენის სფეროში იყვნენ, თუმცა დღეისათვის ეს შეუძლებელია და მათზე (მაშასადამე, ნატოზე) რუსეთის პირდაპირი თავდასხმის შანსი მცირეა. განსხვავებული სურათია მოლდოვისა და საქართველოს შემთხვევაში.

რუსეთ-უკრაინის ომის გამო მოლდოვაც არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ. არსებობს საშიშროება, რომ რუსეთი მას თავს დაესხას. ეს საფრთხე შედარებით მაღალი იყო 2022 წლის გაზაფხულზე. აპრილში რუსეთის გენერალ-მაიორმა, რუსეთის ცენტრალური სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილემ რუსტამ მინე-კაევმა ომის მეორე ფაზის მიზნების ნაწილად შემდეგი გამოაცხადა: „სამხრეთ უკრაინაზე კონტროლი არის კიდევ ერთი გზა დნესტრისპირეთისკენ, სადაც ასევე აღინიშნება რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფაქტები“ (“TASS” 2022). მინეკაევის სწორედ ამ განცხადების შემდეგ სეპარატისტულ დნესტრისპირეთში

აფეთქებები მოხდა (Financial Times 2022). ამას წინ უძღოდა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 11 აპრილს გავრცელებული განცხადება, რომ რუსეთი მოლდოვის ტერიტორიაზე, სეპარატისტულ დნესტრისპირეთში, პროვოკაციებს აპირებდა, რათა უკრაინა აგრესიაში დაედანაშაულებინა (Russia Preparing Provocation In Transnistria To Accuse Ukraine. General Staff Summary Per Day 2022). მეორე დღეს დნესტრისპირეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ვადიმ კრასნოსელსკიმ თქვა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე ნაციზმსა და ფაშიზმს „არ დაუშვებდა“ (“РИА” 2022) - ეს ბრალდებები ძალიან ჰგავს რუსეთის ცრუ რიტორიკას უკრაინის წინააღმდეგ.

რუსეთი რომ უკრაინაში წარმატებას აღწევდეს, შესაძლოა, რუსეთის თავ-დასხმის სამიზნე მოლდოვაც გამხდარიყო, მაგრამ ახლა ეს შედარებით ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ომის დასრულებამდე გამორიცხული არაფერია და რუსეთის მხრიდან ნებისმიერი პროვოკაციის შემთხვევაში, რუსეთმა რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა აქაც შეიძლება მოიმიზეზოს. „საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფციის“ მიღებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც ახსენა, რომ რუსეთი მოლდოვაში რუსულენოვან მოსახლეობას დაიცავდა (Calugareanu 2022). მან მოლდოვა ასევე გააფრთხილა, რომ დნესტრისპირეთში რუსი სამხედროებისთვის საფრთხის შექმნა რუსეთზე თავდასხმად აღიქმებოდა. „ყველას უნდა ესმოდეს, რომ ნებისმიერი ქმედება, რაც საფრთხეს შეუქმნის ჩვენი სამხედროების უსაფრთხოებას [დნესტრისპირეთში], საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთზე თავდასხმად იქნება აღქმული, როგორც ეს მოხდა „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს სამხედროებს [მიხეილ] სააკაშვილი თავს დაესხა,“ - განაცხადა ლავროვმა.

მოლდოვასთან ერთად არანაკლებ საყურადღებო ვითარებაა საქართველოშიც. როდესაც არაერთი ქვეყანა, მათ შორის ჩეხეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და სხვები, რუსეთის მოქალაქეებისთვის სამოგ-ზაურო შეზღუდვებს აწესებს (Hovet and Macfie 2022) (Sytas 2022), უსაფრთხოების რისკების გამო ევროკავშირი რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემას ამკაცრებს (Tidey 2022), არაერთი ქვეყანა რუსეთის თვითმფრინავებს საკუთარ საჰაერო სივრცეში ფრენას უკრძალავს (Shepardson, Freed, and Chee 2022), ამ დროს საქართველოში რუსეთთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოქმედებს. რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ საქართველოში დიდი რაოდენობით რუსეთის მოქალაქე შემოდის.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევის მიხედვით, 2022 წლის პირველ 9 თვეში საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორებიდან ყველაზე დიდი წილი რუსეთის მოქალაქეებზე მოდის (780 339), რაც წინა წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებზე 638 385-ით მეტია. აღსანიშნავია ისიც, რომ კოვიდპანდემიამდელ, ანუ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, ეს რიცხვი 425 635-ით ნაკლებია (კვლევები | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, n.d.). საქართველოს შსს-ის ინფორმაციით, 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით შემოვიდა და 3 ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა რუსეთის 112 733 მოქალაქე (“On.ge”). საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის თანახმად, ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის მარტიდან

სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში 9 500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2021 წლის სრულ მაჩვენებელზეც კი 10-ჯერ მეტია. ამავე ანგარიშის თანახმად, საქართველოში სულ 17 000-მდე რუსული კომპანიაა რეგისტრირებული და მათი ნახევარზე მეტი სწორედ ომის დაწყების შემდეგ დარეგისტრირდა (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 2022). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ცნობით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, 24 თებერვლიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს კომერციულ ბანკებში ახალი ანგარიშები რუსეთის 45 349 მოქალაქემ გახსნა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2022). ამავე ინფორმაციის თანახმად, 31 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს კომერციულ ბანკებში აქტიური ანგარიშის მფლობელი რუსეთის მოქალაქეების რიცხვი დაახლოებით 60 ათასს აჭარბებდა. ასევე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 1 სექტემბრის ანგარიშის თანახმად, 2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 8 464 პირმა მიიღო, აქედან 72% რუსეთის მოქალაქეა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2022). ეს ყოველივე შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ რუსეთის სულ უფრო მეტ მოქალაქეს სურს საქართველოში უფრო ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა.

როგორც აღინიშნა, რუსეთს სხვა ქვეყანაში სამხედრო შეჭრის საბაბად წარსულში არაერთხელ მოუმიზეზებია იქ მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა. ამრიგად, ასეთი მიგრაცია პოტენციურად სახიფათოა, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, რომლის 20% რუსეთს ოკუპირებული აქვს და განუწყვეტლივ აგრძელებს საოკუპაციო ხაზის უკანონო გადაწევისა თუ ე.წ. დემარკაციის პროცესს, იტაცებს საქართველოს მოქალაქეებს, აძევებს მათ საკუთარი სახლებიდან და გენოციდი აქვს ჩადენილი მათ წინააღმდეგ. მრავალი წელია, რაც საქართველო რუსეთის თავდასხმების ობიექტია, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, რუსეთის მხრიდან საქართველოზე მეტი გავლენის მოპოვებისა და ხელახალი სამხედრო თავდასხმის საშიშროებაც გაზრდილია. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი დღესაც იმუქრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ოფიციალურად შეერთებით (“TASS” 2022).

როდესაც რუსეთი ე.წ. თანამემამულეებისა თუ რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვას განიხილავს, ნიშანდობლივია ისიც, რომ ბოლო წლებში რუსეთში არაერთი პრეტენზია გაისმა, როგორც თავად ამბობენ, საქართველოში მომხდარ „რუსოფობიურ“ შემთხვევებზე. რუსეთმა რუსოფობიად შეიძლება მიიჩნიოს რუსეთის პოლიტიკისადმი უარყოფითი განწყობა, საპროტესტო აქციები და ნებისმიერი სხვა რამ. მაგალითად, ქართველი ჟურნალისტის გიორგი გაბუნიას მიერ პუტინის გინება რუსეთმა „ღია პროვოკაციად“ და „უკონტროლო რუსოფობიად“ შეაფასა (Civil Georgia 2019). ასევე, მას შემდეგ, რაც 2019 წელს საქართველოს პარლამენტში რუსი კომუნისტი დეპუტატის სერგეი გავრილოვის მიწვევას მრავალრიცხოვანი აქციები მოჰყვა, პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რითაც რუსულ ავიაკომპანიებს რუსეთიდან საქართველოში მგზავრების გადაყვანა დროებით აუკრძალა. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ეს ნაბიჯი რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და „დანაშაულებრივი და უკანონო ქმედებებისგან რუსეთის მოქალაქეთა დაცვის“

მიზნით გადაიდგა (Kremlin 2019). ამ გადაწყვეტილების გაუქმების პირობებზე საუბრისას კი რუსეთი ახსენებდა „რუსოფობიური კამპანიის შეჩერებას“ და რუსეთის მოქალაქეების „უსაფრთხოების უზრუნველყოფას“ (mid.ru 2022).

უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების ფონზე, რუსეთში განაცხადეს, რომ რამდენიმე ქვეყანაში რუსოფობიის „უპრეცედენტო დონე“ შენიშნეს. „დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ყველა ამ ინციდენტს“, - განაცხადეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 5 მარტს (“MFA Russia” 2022).

„საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფციაშიც“ არის ნახსენები „პოლიტიკური და იდეოლოგიური წარმოშობის ანტირუსული განწყობები“ და მათი რუსეთის კულტურით, როგორც „რბილი ძალით განეიტრალების“ მნიშვნელობა. ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის აპარატის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა იური ვაზაგოვმა აღნიშნულ კონცეფციაზე მსჯელობისას თქვა, რომ უკრაინის „მოვლენებთან“ დაკავშირებით „რუსოფობიის ახალი აგრესიული სტადია“ შენიშნეს, რამაც ასევე გავლენა იქონია კავკასიის რეგიონზე: „საქართველოში რადიკალური ანტირუსული ელემენტები უფრო აგრესიულად იქცევიან, უკრაინიდან და გარკვეული დასავლური ქვეყნების წრეებიდან იღებენ დახმარებას“ (“cominf.org” 2022).

უშუალოდ ვლადიმირ პუტინსაც უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე თავის სიტყვაში ნახსენები ჰქონდა „უკრაინაში აგრესიული რუსოფობია და ნეონაციზმი“ (“Kremlin” 2022). ამრიგად, რუსეთს ე.წ. თანამემამულეებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბად, სხვა მრავალ ბრალდებასთან ერთად, რუსოფობიაც დაუსახელებია. რუსოფობიას კი რუსეთის ლიდერი ახასიათებს, როგორც „გენოციდისკენ პირველ ნაბიჯს“ (“Kremlin” 2021).

„დიდი რუსული დიასპორის პოტენციალი“

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ „ორმხრივი ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარების მიზნით დიდი რუსული დიასპორის პოტენციალი აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული რუსული კულტურის, მეცნიერების, განათლების, სპორტის, ტურიზმის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისთვის, აგრეთვე რუსეთის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებაზე ობიექტური წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად“. არსებული კულტურულ-იდეოლოგიური გავლენის ზრდის გარდა, მტრული ქვეყნიდან მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოშვება რუსეთს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის პირდაპირი ზიანის მიყენების შესაძლებლობასაც უზრდის.

მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში ხშირია რუსეთის მოქალაქეების ჯაშუშობაში მხილების შემთხვევები, საქართველოში საყურადღებოა, რომ არ ჩანს ცნობები გასულ წლებში ქვეყანაში რუსეთის ჯაშუშების გამომჟღავნების შესახებ. უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე დიდია ალბათობა, რომ საქართველოში შემოსულ რუსეთის მრავალ მოქალაქეს შორის ჯაშუშებიც იყვნენ.

წლების განმავლობაში საქართველოში მყოფი არაერთი რუსი ჯაშუშის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, მათ შორის, უკანასკნელ პერიოდშიც. მაგალითად,

რუსეთის მოქალაქის ვსევოლოდ ოსიპოვის თქმით, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა ის საქართველოში გამოაგზავნა რუს დისიდენტებზე ჯაშუშობისთვის და ინფორმაციის შესაგროვებლად, თუ როგორ ეხმარებოდნენ უცხო ქვეყნები და არასამთავრობო ორგანიზაციები უკრაინელ ლტოლვილებს (Lomsadze and Lillis 2022) (Chance 2022). საქართველოში ჯაშუშობის მიზნით გამოგზავნა აღიარა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის კიდევ ერთმა ყოფილმა ჯაშუშმა მიხაილ სოკოლოვმა. ალბანეთში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი სვეტლანა ტიმოფეევაც (Jozwiak and Tayebi 2022) რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში იმყოფებოდა.

ყოველივე ეს კი მიანიშნებს, რომ საქართველოს კარი შეიძლება ღია იყოს რუსი ჯაშუშებისთვის, ასევე - ქვეყანაში დიდი რუსული დიასპორის არსებობა მეტ შესაძლებლობას აძლევდეს კრემლს, რომ საქართველოში თავისი გავლენა გაზარდოს.

ოკუპირებული ტერიტორიები

მნიშვნელოვანია, რომ კონცეფციაში ნახსენებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიც. დოკუმენტის თანახმად, რუსეთისთვის პრიორიტეტულ ამოცანად რჩება ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება კულტურის, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდული პოლიტიკის, სპორტის, ტურიზმის სფეროებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ის) ქვეყნებთან, ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალთან, ასევე, უკრაინის იმ დროს ოკუპირებულ ტერიტორიებთან - დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქებთან.

ამავდროულად, დოკუმენტი ამტკიცებს, თითქოს „რუსეთი ერთგულია თანასწორობის, სამართლიანობის, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების მიმართ“. აღსანიშნავია, რომ პუტინმა ამ დოკუმენტზე ხელმოწერიდან 25 დღეში უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების - ლუჰანსკის, დონეცკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების ანექსია გამოაცხადა. 17 ოქტომბერს კონცეფციაში ცვლილებაც კი შეიტანეს და უკრაინის ანექსირებული ოლქები ტექსტიდან წაშალეს (“Указ Президента РФ №747 от 17 октября 2022 года — Президент России” 2022).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ფორმალურ შეერთებაზეც ლაპარაკობენ (“TASS” 2022). მაისში პუტინმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონთან ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი (“Civil Georgia” 2022). ბოლო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ბიჭვინთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემის თაობაზე შეთანხმება გაფორმდა (“abkhazia.mid.ru” 2022). რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ექსპრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კი ივნისში თქვა, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის რუსეთთან შეერთების ნების უგულებელყოფა შეუძლებელი იყო (“ТАСС” 2022).

ამრიგად, მოსკოვის მხრიდან ცხინვალისა და სოხუმის დე ფაქტო რეჟიმებთან თანამშრომლობის გაფართოება შესაძლოა ნიშნავდეს საქართველოს

ამ ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთთან უფრო მეტ ინტეგრაციასა და პოტენციურად - ფორმალურ ანექსიასაც.

რუსეთის კულტურა და იდეოლოგია, როგორც იარაღი, და მისი „დაკნინების მცდელობა“

კონცეფცია ასევე მნიშვნელოვანწილად ფოკუსირებულია რუსულ კულტურასა და იდეოლოგიაზე, რუსეთისთვის მისი გავრცელების მნიშვნელობაზე. მრავალი წლის მანძილზე ამ ფაქტორს რუსეთი დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ე.წ. უპირატესობის ხაზგასასმელად გამოიყენებდა.

სიახლე არაა, რომ რუსეთს სურს თავი წარმოაჩინოს განსაკუთრებულ ცივილიზაციად, სულიერი და მორალური ღირებულებების დამცველ ძალად. რუსეთის „ჰუმანიტარული პოლიტიკის“ ამოცანებს შორისაა საზღვარგარეთ „რუსეთზე, როგორც სახელმწიფოზე, წარმოდგენის ჩამოყალიბება, რომელიც გულდასმით ინახავს თავის მდიდარ ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციულ სულიერ და მორალურ ღირებულებებს და რომელშიც სოციალურ-კულტურული ცხოვრება დინამიკურად ვითარდება ლიტერატურული, მხატვრული და სხვა სახის შემოქმედების თავისუფლების, აზრთა პლურალიზმის, ცენზურის შეზღუდვების არარსებობის პირობებში“, ასევე „რუსული სამყაროს თანდაყოლილი ტრადიციებისა და იდეალების დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია“. რუსეთის ეროვნული ინტერესები ჰუმანიტარულ სფეროში ასევე მოიცავს საზღვარგარეთ „რუსული ტრადიციული სულიერი და მორალური ღირებულებების დაცვას“. ამასთან, დოკუმენტში წერია, რომ „მსოფლიო ასპარეზზე კულტურული გავლენისთვის ბრძოლა გრძელდება, მასში ძალაუფლების ახალი ცენტრების ფართო ჩართვით“ და აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია რეგულარულად მოხდეს სანდო ინფორმაციის მიწოდება რაც შეიძლება ფართო უცხოური სამიზნე აუდიტორიისთვის იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს რუსული საზოგადოება, რითი ამაყობს, რა ღირებულებებს იცავს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია მსოფლიოში მზარდი მოთხოვნა ტრადიციულ ღირებულებებზე, პირველ რიგში, ოჯახურ ღირებულებებზე, რიგი სახელმწიფოების მიერ ნეოლიბერალური შეხედულებების აგრესიული დაწესების გამო“.

ნეოლიბერალური შეხედულებების მქონე სახელმწიფოებში რუსეთი დასავლეთის ქვეყნებს გულისხმობს და კვლავ ცდილობს ცრუ ნარატივის განვითარებას, თითქოს დასავლეთი, სადაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ყველაზე უკეთაა დაცული (“Freedom House”, n.d.), რუსეთის კულტურას, მის ე.წ. მორალურ ღირებულებებს ებრძვის.

პიტერ პომერანცევისა და მაიკლ ვეისის 2014 წლის ანგარიშში „არარეალურობის საფრთხე: როგორ იყენებს კრემლი ინფორმაციას, კულტურასა და ფულს“ განმარტებულია: „რუსეთი რელიგიური კონსერვატიზმის უცნაურ შუქურას წარმოადგენს: ლევადა ცენტრის მონაცემებით, ეკლესიაში ყოველკვირეულად მართლმადიდებლების მხოლოდ 4% დადის, ხოლო აბორტების, განქორწინების, პროსტიტუციისა და კორუფციის მაჩვენებლები მაღალია. თუმცა, კრემლმა მოახერხა დასავლური მედიის ნაწილის პროვოცირება, რათა დაეხასიათებინათ ის, როგორც

‘კონსერვატორული’ და ‘ტრადიციული’, რაც დაეხმარა რუსეთს, რომ მის შესახებ დებატები ცუდი მმართველობიდან და კორუფციიდან ცივილიზაციის შესახებ მოსახერხებელ არგუმენტებზე გადაეტანა“ (Pomerantsev and Weiss 2014).

თუ რას გულისხმობს რეალურად მოსკოვი, როდესაც „მორალური ღირებულებების დაცვაზე“ საუბრობს, ამჯერად თვალსაჩინო გახდა მთელი მსოფლიოსთვის, რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას, ბუჩაში, მარიუპოლში, იზიუმში და სხვაგან. ნიშანდობლივია ისიც, რომ ოქტომბერში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის რეჟიმი ტერორისტულად აღიარა (“PACE” 2022).

ასევე მითია რუსეთში „თავისუფლება“. Freedom House-ის უკანასკნელი ანგარიშის თანახმად, რუსეთი არათავისუფალი ქვეყანაა და ამ მხრივ მისი მაჩვენებელი გაუარესებულია (“Freedom House”, n.d.). რუსეთში თავისუფლების მაჩვენებელი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაუარესდება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, რადგან ქვეყანაში პროტესტი თითქმის შეუძლებელი ხდება (“Human Rights Watch” 2022).

რაც შეეხება „რუსული სამყაროს“ (“Русский мир”) დაცვასა და პოპულარიზაციას, ეს იდეოლოგია რუსული იმპერიის აღდგენის მცდელობის შესახებ, ალბათ, ყველაზე უკეთ განმარტებულია დეკლარაციაში „A Declaration on the „Russian World“ (Russkii Mir) Teaching“, რომელსაც არაერთი თეოლოგი ხელს აწერს (“Public Orthodoxy” 2022) და რომლითაც ისინი „რუსული სამყაროს“ ერესს უარყოფენ და მას ახასიათებენ, როგორც ცრუ მოძღვრებას, ტოტალიტარულ, მართლმადიდებლურ ეთნოფილეტისტურ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს:

„ეს სწავლება აცხადებს, რომ არსებობს საერთაშორისო რუსული ცივილიზაციის სფერო, რომელსაც ეწოდება წმინდა რუსეთი ან წმინდა რუსი, რომელიც მოიცავს რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს (და ხანდახან მოლდოვასა და ყაზახეთს), ასევე ეთნიკურ რუსებსა და რუსულენოვან ადამიანებს მთელ მსოფლიოში. ამ „რუსულ სამყაროს“ აქვს საერთო პოლიტიკური ცენტრი (მოსკოვი), საერთო სულიერი ცენტრი (კიევი, როგორც „დედა სრულიად რუსეთისა“), საერთო ენა (რუსული), საერთო ეკლესია (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მოსკოვის საპატრიარქო) და საერთო პატრიარქი (მოსკოვის პატრიარქი), რომელიც საერთო პრეზიდენტთან/ეროვნულ ლიდერთან (პუტინთან) თანხვედრაში მოქმედებს, რათა რუსული სამყარო მართოს და შეინარჩუნოს თვითმყოფადი სულიერება, მორალი და კულტურა. (აღნიშნული სწავლების მიხედვით) „რუსული სამყაროს“ წინააღმდეგ დგას გარყვნილი დასავლეთი, აშშ-ისა და დასავლური ქვეყნების ლიდერობით...“

„საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფციით“ მოსკოვი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მის იმპერიალისტურ იდეოლოგიასა და პოლიტიკას გმობენ და წინააღმდეგობას უწევენ, რაც რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ გახშირდა და თავისუფალი ქვეყნების მიერ უკრაინის დახმარებაში, რუსეთის სანქცირებაში, მრავალი ღონისძიებიდან მის იზოლირებასა და სხვა ქმედებებში გამოიხატება. დოკუმენტში რუსეთი იმუქრება: „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რუსული კულტურის მნიშვნელობის დაკნინების მცდელობების მომრავლება... რუსული სამყაროს, მისი ტრადიციებისა და იდეალების დისკრედიტაცია, ფსევდოღირებულებებით ჩანაცვლება“.

მედიის, ტურიზმისა და ენის გამოყენება

კონცეფციაში ასევე გამახვილებულია ყურადღება საერთაშორისო ასპარეზ-ზე მედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენებასა და მათ როლზე რუსეთის შესახებ „ობიექტური აღქმის“ ჩამოყალიბებაში.

„მასმედია არის ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედების, ინფორმაციის ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე ძლიერი ინსტრუმენტი,“ - აღნიშნულია დოკუმენტში. პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მედია-საშუალებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია რუსეთის საინფორმაციო ომში და აკრძალულია დასავლეთის არაერთ ქვეყანაში. თუმცა, რუსული დეზინფორმაციული მანქანის გავლენა განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ ქვეყნებში, სადაც რუსეთი პირდაპირი გავლენის მოპოვებას ან გაზრდას ესწრაფვის. Zinc Network-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 30% ყოველკვირეულად უყურებს ერთ პრორუსულ არხს მაინც (აქედან 11% უყურებს ORT-ს და 5% - Russia 24-ს), ხოლო 11% ენდობა ერთ პრორუსულ არხს მაინც (“Georgia Information Integrity Program” 2022). მართალია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა წლებია ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ემხრობა, მაგრამ რუსეთის პროპაგანდისტული მედიის არსებობა ნაწილობრივ ოკუპირებულ ქვეყანაში საფრთხედ რჩება, რადგან როგორც რუსეთის ერთ-ერთ იარაღს, მას არსებულ რუსულ გავლენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

თავისი გავლენის გასაზრდელად რუსეთი ასევე ხაზს უსვამს ტურიზმის „დიდ მნიშვნელობას“, რაც დოკუმენტის თანახმად, „ხელს უწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, ადამიანებს შორის კონტაქტებსა და რუსეთის შესახებ პირველწყაროდან ინფორმაციის გავრცელებას“. ერთ-ერთ ამოცანად დასახელებულია „რუსეთის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის“, რაც გასულ წლებთან შედარებით რუსეთისთვის განსაკუთრებით პრობლემური უნდა იყოს რუსეთ-უკრაინის ომის გამო, როდესაც რუსეთის უამრავი მოქალაქე საკუთარ ქვეყანას ტოვებს სანქციების წნეხის, მობილიზაციისა თუ ქვეყნის პოლიტიკასთან უთანხმოების გამო.

რუსეთი უფრო დიდი პოლიტიკური გავლენის მოპოვების გზად ასევე ხედავს უცხოეთში რუსული ენის „მხარდაჭერასა და პოპულარიზაციას“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს ხელს უწყობს რუსეთის მიმართ მსოფლიოში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. რუსეთი შესაძლოა ამით იმასაც იმედოვნებს, რომ რუსული დიასპორა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რუსული ენის, რუსულენოვანი ინფორმაციის მეტ პოპულარიზაციას მოიტანს.

რუსეთის მიერ ისტორიის გადაწერის მცდელობა

დოკუმენტში ასევე ნათლად ჩანს რუსეთის მისწრაფება - გადაწეროს ისტორია. ტექსტში ხაზგასმულია საზღვარგარეთ რუსეთზე „ობიექტური აღქმის ჩამოყალიბება და განმტკიცება...“. ასევე, ხაზგასმულია „ობიექტური ინფორმაციის გავრცელება რუსეთის ისტორიის შესახებ (რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ის

პერიოდების ჩათვლით), მათ შორის, საარქივო მასალებში, მნიშვნელოვანია წარსულის სანდო მეხსიერების შესანარჩუნებლად და ისტორიის გაყალბების მცდელობების გასანეიტრალებლად... აუცილებელია აქტიური სამუშაოების ჩატარება, რათა აღიკვეთოს რიგი ქვეყნების მცდელობები მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის ისტორიის გადაწერის, დიდ გამარჯვებაში საბჭოთა ხალხის როლის შესამცირებლად".

დასავლეთის არაერთი ქვეყანა ეწინააღმდეგება რუსეთის მცდელობებს გააყალბოს ისტორია ("LSM" 2022). 2019 წელს ევროპის პარლამენტმა რუსეთის მთავრობის მიერ საბჭოთა რეჟიმის დანაშაულების დაფარვა დაგმო ("European Parliament" 2019). ევროპელმა კანონმდებლებმა ღრმა შეშფოთება გამოხატეს მოსკოვის მიერ ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამართლების მცდელობის გამო, რაც საინფორმაციო ომის სახიფათო კომპონენტად შეაფასეს.

რუსეთის ლიდერი კი დღესაც აგრძელებს ისტორიის გაყალბების კამპანიას. 2021 წელს პუტინმა მიიღო კანონი, რომელიც ნაცისტური გერმანიის დამარცხებაში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლის უარყოფასა და მეორე მსოფლიო ომში ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიზნებისა და ქმედებების საჯაროდ გაიგივებას კრძალავს ("Федеральный закон от 01.07.2021 № 278-ФЗ· Официальное опубликование правовых актов· Официальный интернет-портал правовой информации" 2021). რუსეთის ლიდერს ასევე არაერთხელ გაუყალბებია იმ ქვეყნების ისტორია, რომლებსაც რუსეთი თავს ესხმის ("ტაბულა" 2019) ("State Department" 2022).

რუსეთის მიერ ისტორიის გადაწერის მცდელობა სახიფათოა საქართველოსთვისაც. მაგალითად, საქართველოში კვლავ არსებობს დეზინფორმაცია საბჭოთა დიქტატორ იოსებ სტალინის შესახებ (Waller 2020). 2022 წელს, ინფორმაციის სანდოობის ხელშეწყობის პროგრამის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 34% ფიქრობს, რომ „პატრიოტი ქართველი უნდა ამაყობდეს, რომ სტალინი ქართველი იყო", ხოლო 52%-ს მიაჩნია, რომ „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირი ძლიერებასა და კეთილდღეობამდე მიიყვანა" ("on.ge", n.d.). მსგავსი ისტორიული ტყუილების არსებობა სახიფათოა იმ ქვეყნისთვის, რომელიც რუსეთის მუდმივ სამიზნეს წარმოადგენს.

დასასრულ, კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ „საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფცია" რუსეთის განცხადებულ საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს სრულიად შეესაბამება. თუმცა, ამ დოკუმენტში დეზინფორმაციული ნარატივის ხელახლა მოშველიებითა და იმპერიალისტური ამოცანების წინ წამოწევით მოსკოვს, სავარაუდოდ, უფრო მეტი ძალისხმევით სურს მათი მიღწევა.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ რუსულენოვანი მოსახლეობისა თუ „თანამემამულეების" უფლებების დაცვის რიტორიკა რუსეთმა მოლდოვის ან საქართველოს წინააღმდეგაც გამოიყენოს. ოკუპანტი ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობით მიგრაცია კი არა მხოლოდ პოტენციურ, არამედ მყისიერ, რეალურ საფრთხესაც შეიცავს, რაც, სხვა პრობლემებთან ერთად, რუსული

დიასპორის ნაწილის შპიონაჟის მიზნით გამოყენებაში შეიძლება გამოიხატებოდეს. კონცეფციაში ასევე ცხადად ჩანს რუსეთის მიერ სხვა ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციის გაგრძელების სურვილიც.

დოკუმენტიდან ნათელია, რომ რუსული პროპაგანდისტული მანქანა კვლავ გააგრძელებს კულტურისა და იდეოლოგიის იარაღად გამოყენებას, რუსული კულტურის დაკნინების მცდელობის წარმოჩენასა და თავისუფალ სამყაროსთან ამ მიზეზით დაპირისპირებას, საკუთარი გავლენის გასაზრდელად კი უფრო აქტიურად მოახდენს მედიის, ტურიზმისა და ენის ინსტრუმენტალიზაციას. ამასთან, მოსკოვს რუსეთზე ნეგატიური აღქმის გასანეიტრალებლად ისტორიის წაშლის მნიშვნელობაც არ ავიწყდება.

ყოველივე ზემოთქმული ძალზე სახიფათოა საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის, რადგან განგრძობადი რუსული ოკუპაციის ნაწილია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს არ ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც რუსეთის საზიანო გავლენის გაზრდის მცდელობებს შეეწინააღმდეგება.

„საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონ-ცეფცია“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე და, განსაკუთრებით, თავის სამეზობლოში სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით მეტი გავლენის მოპოვება სურს, მით უფრო, რომ 2022 წლის შემოდგომის მდგომა-რეობით, ის უკრაინის მიმართ დასახულ სამხედრო და პოლიტიკურ მიზნებს ვერ აღწევს.

ბიბლიოგრაფია

- "Address by the President of the Russian Federation." 2022. President of Russia. http://en.kremlin.ru/events/president/news/67828.
- "A Declaration on the "Russian World" (Russkii mir) Teaching." 2022. Public Orthodoxy. https://publicorthodoxy.org/2022/03/13/a-declaration-on-the-russian-world-russkii-mir-teaching/.
- "Baltic states, Poland, Romania urge EU to counter Russian falsification of history." 2022. LSM. https://eng.lsm.lv/article/culture/history/baltic-states-poland-romania-urge-eu-to-counter-russian-falsification-of-history.a466447/.
- Calugareanu, Vitalie. 2022. "Russia warns Moldova over Transnistria troops – DW – 09/03/2022." DW. https://www.dw.com/en/russia-warns-moldova-over-transnistria-troops/a-63013005.
- Chance, Matthew. 2022. "Revealed: How Russia's security service preys on young activists to turn them into informants." CNN. https://edition.cnn.com/2022/09/07/europe/russia-fsb-informants-cia/index.html.
- "cominf.org." 2022. Humanitarian policy of Russia abroad was discussed during the video bridge Moscow-Tskhinval-Sukhum. https://cominf.org/en/node/1166545661.
- "Conference of Russian ambassadors and permanent representatives." 2014. President of Russia. http://en.kremlin.ru/events/president/news/46131.
- "Countries and Territories." n.d. Freedom House. https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores.
- "Executive order on measures to ensure Russia's national security and protection of its citizens." 2019. President of Russia. http://en.kremlin.ru/events/president/news/60805.
- Financial Times. 2022. "Russia planning operations to destabilise pro-EU Moldova, officials warn." April 27, 2022. https://www.ft.com/content/92a0dbc3-c8b2-474e-a09a-07293bea7829.
- "Georgia Information Integrity Program." 2022. https://drive.google.com. https://drive.google.com/file/d/1efLdz_UcmO6v_Vd5sLJX4LX3XShtx1G8/view.
- "Granting Georgian Citizenship – Data Analysis 2018-2022." 2022. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/en/granting_georgian_citizenship_data_2018_2022.
- Hovet, Jason, and Nick Macfie. 2022. "Czechs tighten entry rules for Russian tourists, joining other EU states." Reuters. https://www.reuters.com/world/europe/czechs-tighten-entry-rules-russian-tourists-joining-other-eu-states-2022-10-12/.
- "International Attitudes Toward the U.S., NATO and Russia in a Time of Crisis." 2022. Pew Research Center. https://www.pewresearch.org/global/2022/06/22/international-attitudes-toward-the-u-s-nato-and-russia-in-a-time-of-crisis/.
- Jozwiak, Rikard, and Ardeshir Tayebi. 2022. "Albanian Court Orders Two Russians, One Ukrainian Held After Confrontation At Former Weapons Factory." Radio Free Europe. https://www.rferl.org/a/albania-russians-ukrainians-custody-gramsh-military/32003103.html.
- Lomsadze, Giorgi, and Joanna Lillis. 2022. "Spy's confession sheds light on Russian espionage in Georgia." Eurasianet. https://eurasianet.org/spys-confession-sheds-light-on-russian-espionage-in-georgia.
- "Meeting of Council for Civil Society and Human Rights." 2021. Kremlin. http://en.kremlin.ru/events/president/news/67331.

- “MFA Russia.” 2022. Twitter. https://twitter.com/mfa_russia/status/1500182315112321028?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1500182315112321028%7Ctwgr%5Ed6b4eb6aa896aecca35942555ef0cfad1e7e7f46%7Ctwcon%5Es1_&ref_url=https%3A%2F%2Ftabula.ge%2Fge%2Fnews%2F681686-rusetis-.
- “On.ge.” On.ge, 26 October 2022, https://go.on.ge/31cu.
- Pomerantsev, Peter, and Michael Weiss. 2014. “The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money.” The Interpreter. https://www.interpretermag.com/the-menace-of-unreality-how-the-kremlin-weaponizes-information-culture-and-money/.
- “Putin Claims Russia Was ‘Forced To Defend Russian-Speaking Population In Donbass.’” 2016. The Interpreter. https://www.interpretermag.com/day-968/.
- “resolution.” 2022. Parliamentary Assembly of the Council of Europe. https://pace.coe.int/pdf/1f8702a790f20dff3019431f3c84f0933d99e66fdcc20d2af25222ae7f712cf3/resolution%202463.pdf.
- “Russia Criminalizes Independent War Reporting, Anti-War Protests.” 2022. Human Rights Watch. https://www.hrw.org/news/2022/03/07/russia-criminalizes-independent-war-reporting-anti-war-protests.
- “Russia: Freedom in the World 2022 Country Report.” n.d. Freedom House. https://freedomhouse.org/country/russia/freedom-world/2022.
- “Russian MFA Condemns Rustavi 2 Broadcast as ‘unbridled Russophobia’, Notes Positively Georgian Government Response.” 2019. Civil Georgia. https://civil.ge/archives/312397.
- Russia Preparing Provocation In Transnistria To Accuse Ukraine. General Staff Summary Per Day. 2022. April 11, 2022. https://ukranews.com/en/news/848576-russia-preparing-provocation-in-transnistria-to-accuse-ukraine-general-staff-summary-per-day.
- “Russia’s War on Ukraine: Six Months of Lies, Implemented - United States Department of State.” 2022. State Department. https://www.state.gov/disarming-disinformation/russias-war-on-ukraine-six-months-of-lies-implemented/.
- Shepardson, David, Jamie Freed, and Yun Chee. 2022. “U.S. follows Canada, Europe on Russian aircraft ban.” Reuters. https://www.reuters.com/business/airspace-closures-after-ukraine-invasion-stretch-global-supply-chains-2022-03-01/.
- “South Ossetia’s referendum to join Russia could take place in May, June.” 2022. TASS. https://tass.com/world/1430525.
- “State Duma Ratifies Tskhinvali Dual Citizenship Deal.” 2022. Civil Georgia. https://civil.ge/archives/491488.
- Sytas, Andrius. 2022. “Baltic states and Poland close doors to Russian tourists.” Reuters. https://www.reuters.com/world/europe/baltic-states-poland-close-doors-russian-tourists-2022-09-19/.
- Sytas, Andrius, Gareth Jones, and Raissa Kasolowsky. 2022. “Lithuanian lawmakers brand Russian actions in Ukraine as ‘genocide’, ‘terrorism.’” Reuters, May 10, 2022. https://www.reuters.com/world/europe/lithuanian-lawmakers-brand-russian-actions-ukraine-genocide-terrorism-2022-05-10/.
- “TASS.” 2022. TASS. https://tass.ru/armiya-i-opk/14446141?utm_source=t.co&utm_medium=referral&utm_campaign=t.co&utm_referrer=t.co.
- “Texts adopted - Importance of European remembrance for the future of Europe - Thursday, 19 September 2019.” 2019. European Parliament. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2019-0021_EN.html.
- Tidey, Alice. 2022. “EU further tightens visas for Russian citizens over ‘security threat.’” Euronews. https://www.euronews.com/my-europe/2022/09/30/eu-further-tightens-visas-for-russian-citizens-over-security-threat.

- Waller, Nicholas. 2020. “Stalin statues in Georgia insult his victims.” New Europe. https://www.neweurope.eu/article/stalin-statues-in-georgia-insult-his-victims/#l9cpcx7opvdj6emohcl.
- “კვლევები | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.” n.d. Georgian National Tourism Administration. https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/.
- “რა (არ) იცის მოსახლეობამ დეზინფორმაციაზე.” n.d. https://on.ge. https://go.on.ge/2uif.
- “რა მოიტყუა პუტინმა საქართველოს ისტორიაზე - ისტორიკოს დიმიტრი სილაქაძის განმარტება.” 2019. ტაბულა. https://tabula.ge/ge/news/627493-ra-moitqua-putinma-sakartvelos-istoriaze.
- “რუსეთის მოქალაქეების ფინანსები საქართველოს ბანკებში.” 2022. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/ge/finances_of_russian_citizens_in_georgian_banks.
- “საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა.” 2022. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-ruset-ukrainis-omis-gavlena-0#_ftn16.
- “Глава Приднестровья не допустит возрождения нацизма в республике.” 2022. РИА Новости. https://ria.ru/20220412/pridnestrove-1783099296.html.
- “Медведев: вхождение в РФ иностранных субъектов может быть только на основе конституции.” 2022. ТАСС. https://tass.ru/politika/14809251.
- “Ответы Министерства иностранных дел Российской Федерации на вопросы СМИ, поступившие к пресс-конференции по итогам деятельности российской дипломатии в 2021 году.” 2022. https://www.mid.ru/. https://www.mid.ru/ru/foreign_policy/news/1795407/#2.
- “Соглашение между Правительством Российской Федерации и Правительством Республики Абхазия о передаче в собственность Российской Федерации объекта на территории Республики Абхазия и порядке его использования.” 2022. abkhazia.mid.ru. https://abkhazia.mid.ru/ru/press-centre/news/soglashenie_mezhdu_pravitelstvom_rossiyskoy_federatsii_i_pravitelstvom_respubliki_abkhaziya_o_pereda/.
- “Указ Президента Российской Федерации от 05.09.2022 № 611 · Официальное опубликование правовых актов · Официальный интернет-портал правовой информации.” 2022. Официальное опубликование правовых актов. http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001202209050019#print.
- “Указ Президента РФ №747 от 17 октября 2022 года — Президент России.” 2022. Президент России. http://prezident.org/articles/ukaz-prezidenta-rf-747-ot-17-oktjabrja-2022-goda-17-10-2022.html.
- “Федеральный закон от 01.07.2021 № 278-ФЗ · Официальное опубликование правовых актов · Официальный интернет-портал правовой информации.” 2021. Официальное опубликование. http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001202107010008?index=1&rangeSize=1.